სონია გორგერი და ელოდი გარსია

პატარა მგელი, ვულფი

FONDATION IPSEN
BookLab

გენეტიკის ბავშვები

სონია გორგელი და ელოდი გარსია

პატარა მგელი, ვულფი

გენეტიკის ბავშვები

FONDATION IPSEN
BookLab

დიდი ხნის წინათ, ტყის
განაპირა, კოხტა ხის კოტეჯში,
ბებია და ბაბუა მგლები
ცხოვრობდნენ.

ყოველ ოთხშაბათს, მათ
ცხრა შვილიშვილი
სტუმრობდა, პატარებს ისე
უყვარდათ ეს შეკრებები,
რომ არაფრის დიდებით
არ გამოაკლდებოდნენ
ხოლმე. ბაბუა მგელი ისეთი
მხიარული იყო. ბავშვებთან
ერთად მუდამ ოხუნჯობდა.
რაც შეეხება ბებია მგელს,
ის თავისი სიტკბო და
სიმშვიდით აწყნარებდა
პატარა მგლებს.

ჭამის შემდეგ, ცხელი შოკოლადის ფინჯანით ხელში, ყველა ბუხრის გარშემო იკრიბებოდა ხოლმე, ბებია მგლის ზღაპრის მოსასმენად.

“საშინელებათა ზღაპარი მოგვიყევი!”-უთხრა მოუთმენლად პატარა მგელმა.

“არა, სათავგადასავლო სჯობს!” - სთხოვა მეორე მგელმა.

რამდენიმე წამიანი ფიქრის შემდეგ, ბებია მგელმა თქვა:

“თქვენ უკვე დიდები ხართ! ამიტომაც, მე თქვენ ნამდვილ ამბავს მოგიყვებით. ეს ამბავი ჩემს ბავშვობაში მოხდა: ამბავი, რომელიც ყველაზე მშვენიერ და არაჩვეულებრივ შეხვედრაზე მოგვითხრობს”.

“ბავშვობაში ძალიან მორცხვი ვიყავი. ჩემთვის რთული იყო სხვა ადამიანებთან გამოლაპარაკება და მათთან დამეგობრება. ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებას ძალიან ართულებდა ეს ფაქტი.

ერთ დღეს, ჩვენმა
მასწავლებელმა, ქალბატონმა
ბუმ ახალი მოსწავლე გაგვაცნო.
მას ვულფი ერქვა. ის იყო
მაღალი, გამხდარი ახალგაზრდა
მგელი, მხრებში ოდნავ
მოხრილი, ლამაზი ლურჯი
თვალებით. მას დაბადების
ნიშანი ჰქონდა, გულის ფორმის,
ბროწეულისფერი ლაქა ზედ
დრუნჩზე, პირთან ძალიან
ახლოს.

მხოლოდ ეს ნიშანი არ
გამოარჩევდა მას. ვულფი თავის
ასაკის მგლებთან შედარებით
უფრო ნელი იყო. მას უჭირდა
საუბარი და ზოგიერთი რამის
გააზრება. მოხუცი მასწავლებელი
ბატონი მელა, გაკვეთილების
შემდეგ, კვირაში რამდენჯერმე
ვულფის სხვადასხვა საგნების
დავალებების მომზადებაში
ეხმარებოდა. დანარჩენ დღეებში,
მოსწავლეები ამბობდნენ, რომ
ვულფი სრული იდიოტი იყო
და არც მეგობრები ჰყავდა. მე
კი ძალიან მორცხვი ვიყავი
იმისთვის, რომ მივსულიყავი და
გამოვლაპარაკებოდი მას.

მისი მოსვლიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ქალბატონმა ბუმ ლექსის სწავლა დაგვავალა. შემდეგ კი მთელი კლასის წინაშე ფეხზე მდგარს უნდა წაგვეკითხა. ეს ნამდვილი გამოწვევა იყო!

როდესაც ჩემი რიგი მოვიდა, სიტყვაც კი ვერ ვთქვი. მთელი კლასის წინაშე გაქვავებული ვიდექი. ისინი გაოგნებულები მომშტერებოდნენ. მე კი თითქოს მოძრაობა არ შემეძლო, თან ფეხები მიკანკალებდა. ქალბატონი ბუ, რომელმაც უბრალოდ ჩათვალა, რომ მე ლექსი არ ვიცოდი, მოთმინებას კარგავდა. როდესაც უეცრად…

...ბრახ! საკლასო ოთახის ბოლოდან საშინელი ხმა გაისმა. ეს ვულფი იყო, სკამიდან გადავარდა, თან გაიყოლა ყველა წიგნი, რვეული და ფანქარი, რომელიც მერხზე ეწყო!

კლასში ყველამ სიცილი დასცხო და ტაში შემოჰკრა. რა ამბავი ატყდა, უნდა გენახათ! ქალბატონი ბუ მთელი ძალით ცდილობდა ბავშვების დაწყნარებას, მე კი მშვიდად მთხოვა, ჩემს ადგილზე დავმჯდარიყავი.

როდესაც ჩემი ადგილისკენ
გავეშურე, დამშვიდებული
და ბედნიერი ვიყავი, რომ
ეს რთული სიტუაცია ასე
მარტივად მოგვარდა. სწორედ
ამ დროს, ვულფის თვალებს
შევეჩეხე. მან გამიღიმა და თვალი
ჩამიკრა. მაშინ მივხვდი, რომ
მისი სკამიდან გადმოვარდნა
შემთხვევითობა არ ყოფილა. ის
სკამიდან სპეციალურად, ჩემს
დასახმარებლად გადმოვარდა!
მას, სხვებისგან განსხვავებით,
კარგად ესმოდა რას ვგრძნობდი.

ის ხედავდა იმას, რასაც სხვები
ვერ ამჩნევდნენ.

ამ დღის მერე მე და ვულფი
განუყრელები გავხდით. კარგად
გავიცანი და აღმოვაჩინე, რომ ის
მხიარული და გამორჩეულად
კეთილი მგელი იყო. ის
დამეხმარა, ნაკლებად მორცხვი
ვყოფილიყავი.”

“ხედავთ, ბავშვებო,” - თქვა ბებია
მგელმა

ამბის დასასრულს:

„არსებობს სხვადასხვანაირი
გონიერება.

მაგრამ, მე თუ მკითხავთ,
ყველაზე

გასაოცარი, გულიდან წამოსული

გონიერებაა“.

როცა ბებია მგელმა ამბის მოყოლა
დაასრულა, ოთახში რამდენიმე
წუთი ხმა არავის ამოუღია.
მხოლოდ ცეცხლის ტკაცუნის ხმა
ისმოდა. ბავშვებმა ერთმანეთს
გადახედეს, მათზე დიდი
შთაბეჭდილება მოახდინა ბებიას
მოყოლილმა ამბავმა. მგლის ლეკვმა
ცნობისმოყვარედ გაუღიმა ბებია
მგელს და წამოდგა. მას მეორე
მიჰყვა, შემდეგ მესამე…მალე
მათ დანარჩენებიც შეურთდნენ.
ბებია მგელიც წამოდგა და იმ
სავარძლისკენ გაეშურა, რომელზეც
ბაბუა მგელს ჩასძინებოდა.

მას პლედი გადააფარა, რომ არ შესცივებოდა, შემდეგ კი ნაზად აკოცა ზუსტად დრუნჩთან, გულის ფორმის ბროწეულისფერ ნიშანზე.

მოდი დავიწყოთ მსჯელობა!

განაგრძე ზღაპარი ბავშვებთან ერთად!

ამაში დაგეხმარება შეკითხვები შემდეგ გვერდზე.

თუ ბავშვი გიპასუხებთ:

შეგიძლიათ ჰკითხოთ:

თქვენი აზრით, რას ნიშნავს "იყო განსხვავებული"?

და თქვენ, თავს განსხვავებულად გრძნობთ?

იცნობთ ვინმეს, ვინც განსხვავებულია დანარჩენებისგან?

როგორ ფიქრობთ, რა გრძნობაა როდესაც თავს განსხვავებულად გრძნობ?

რა რეაქცია გაქვთ ხოლმე, როდესაც ვინმე განსხვავებულს შეხვდებით? გინდათ დაეხმაროთ?

ოდესმე ვინმე დაგიცინიათ?

ვულფის სჭირდება სხვისი დახმარება სკოლაში. თქვენ რას ფიქრობ ამასთან დაკავშირებით?

შეამჩნიეთ, რომ ვულფის სახეზე, პირის ზემოთ პატარა ლაქა აქვს?

რას ფიქრობთ იმის შესახებ, რომ ვულფის მეგობრები არ ჰყავს და მას სულ დასცინიან?

ინტელექტუალური განვითარების დარღვევის შესახებ

ინტელექტუალური განვითარების დარღვევის შესახებ
ინტელექტუალური განვითარების შეფერხება (IDD) ნეიროგანვითარებადი დარღვევაა, რომელიც იწყება მოზარდობის პერიოდში (18 წლამდე). იგი ხასიათდება ინტელექტუალური ფუნქციონირებისა და ავტონომიის მნიშვნელოვანი დარღვევით, რაც გავლენას ახდენს ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების მრავალ სფეროზე. IDD ერთ-ერთი ძირითადი ნეიროგანვითარების დარღვევაა და საფრანგეთში მოსახლეობის 2%-ს ანუ მილიონზე მეტ ადამიანს აწუხებს. სამწუხაროდ, შემთხვევათა დაახლოებით 50%-ში მიზეზის დადგენა შეუძლებელია. IDD-ს მკურნალობა დამოკიდებულია მის სიმძიმეზე. ყველაზე ხშირად, ის მულტიდისციპლინურ მიდგომას მოითხოვს და მოიცავს მრავალი სპეციალისტის ჩართულობას: ფსიქოლოგების, ფსიქომოტორული თერაპევტების, ლოგოპედების და ა.შ. უფრო იშვიათად, სპეციფიკური მკურნალობა არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ დარღვევები ადრეულ ეტაპზე გამოვლინდეს: ახლა ჩვენ ვიცით, რომ რაც უფრო მეტად არის ბავშვი მოტივირებული, მით მეტია შანსი, გახდეს დამოუკიდებელი მომავალში. ამიტომ, სკოლაში სწავლა უნდა იყოს ადაპტირებული, რაც მიზნად ისახავს ბავშვების უნარების გაღრმავებას და ახალი შესაძლებლობების შეძენაში დახმარებას.

ავტორის შესახებ

სამედიცინო მდივანი, სონია გორგერი, მრავალი წლის განმავლობაში ხვდებოდა და ესალმებოდა უამრავ პაციენტს, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ გენეტიკურ დაავადებებთან. სწორედ ამ შეხვედრებმა შთააგონა ის, შეექმნა წიგნების სერია „გენეტიკის ბავშვები".

ამ კრებულის წიგნები მარტივი სიტყვებით და მიმზიდველი პერსონაჟებით განიხილავს იმ გამოწვევებს, რომელიც ყოველდღიურად შეიძლება შეხვდეთ ამ პაციენტებს. წიგნის პერსონაჟების გასაცოცხლებლად, სონია გორგერმა ითანამშრომლა კლინიკურ ფსიქოლოგ კრისტინ ჯუიფთან, რომელიც გენეტიკური დაავადებების მქონე პაციენტებს და მათ ოჯახებს უჭერს მხარს დიაგნოსტიკური პროცესის განმავლობაში.

ილუსტრატორის შესახებ

ელოდი გარსია, გრაფიკული დიზაინერი მრავალწლიანი სტაჟით, საბავშვო წიგნების და კომიქსების ილუსტრატორია, მისი დელიკატურობა საშუალებას აძლევს მას ნაზად მიუდგეს რთულ საკითხებს. გენეტიკის ბავშვების წიგნების სერიის ილუსტრირებით, ის იმედოვნებს, რომ დაეხმარება ოჯახებს, რომლებიც იშვიათი დაავადებების წინაშე დგანან.

ასოციაცია ARGAD-ის შესახებ

ARGAD (The Association for Research in Genetics and Support for Families and Professionals of Dijon-Bourgogne) დიჟონ-ბურგონის გენეტიკის კვლევისა და ოჯახებისა და პროფესიონალების მხარდაჭერის არაკომერციული ასოციაციაა, რომელიც შეიქმნა 2010 წლის სექტემბერში.

ARGAD ჩართულია მრავალ აქტივობაში:

- იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების მიღებისა და მოვლის პირობების გაუმჯობესება ბურგუნდიაში, დიჟონის CHU-ს გენეტიკის ცენტრში;
- ბურგუნდიის რეგიონის ჯანდაცვის პროფესიონალების და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იშვიათი დაავადებების შესახებ;
- წვლილი შეიტანოს იშვიათ დაავადებებში ჩართული ჯანდაცვის პროფესიონალების უკეთეს და გაუმჯობესებულ ტრენინგში;
- ასევე, მხარს უჭერს კლინიკურ და ბიოლოგიურ კვლევით საქმიანობას გენეტიკური მუტაციების სფეროში, რომლებიც დაკავშირებულია განვითარების და ინტელექტუალურ დარღვევებთან ბურგუნდიაში.

ARGAD ასოციაციის და მისი მისიის მხარდასაჭერად ეწვიეთ: http://www.translad.org/

Fondation Ipsen BookLab ფონდის შესახებ

სამართლიანი საზოგადოებისკენ სწრაფვის გზაზე, საერთო ინტერესების გათვალისწინებით, Fondation Ipsen BookLab უფასოდ აქვეყნებს და ავრცელებს წიგნებს, ძირითადად სკოლებსა და ასოციაციებში. ექსპერტებს, მხატვრებს, ავტორებსა და ბავშვებს შორის თანამშრომლობის გზით, ჩვენი პუბლიკაციები, რომელიც ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის არის სხვადასხვა ენაზე, ფოკუსირებულია ჯანმრთელობასთან, შეზღუდული შესაძლებლობებისა და იშვიათი დაავადებების შესახებ განათლებაში ხელშეწყობასა და ცნობიერების ამაღლებაზე. იხილეთ ჩვენი სრული კატალოგი ონლაინ: www.fondation-ipsen.org.

www.fondation-ipsen.org.

წიგნი # 10.4

გამოხატეთ თქვენი აზრი!

IISBN: 978-2-493373-24-3 (ბეჭდური წიგნი ფრანგულ ენაზე) / 978-2-493373-27-4 (ელ. წიგნი – ფრანგულ ენაზე) /
978-2-38427-009-5 (POD – ინგლისურ ენაზე) / 978-2-493373-30-4 (ელ. წიგნი – ინგლისურ ენაზე) /
978-2-38427-012-5 (POD – ესპანურ ენაზე) / 978-2-493373-33-5 (ელ. წიგნი – ესპანურ ენაზე) /
978-2-38427-015-6 (POD – ჩინურ ენაზე) / 978-2-493373-36-6 (ელ. წიგნი – ჩინურ ენაზე) /
978-2-38427-018-7 (POD – უკრაინულ ენაზე) / 978-2-38427-021-7 (ელ. წიგნი – უკრაინულ ენაზე)/
978-2-38427-354-6 (POD – ქართული ვერსია) / 978-2-38427-355-3 (ელ. წიგნი – ქართული ვერსია)

© Fondation Ipsen, 2026
Fondation Ipsen is under the aegis of Fondation de France
www.fondation-ipsen.org

ტექსტი: სონია გორგერი (კრისტინ ჯუიფისთან თანამშრომლობით)
ილუსტრაციები: ელოდი გარსია სამეცნიერო რედაქტირება: დიჟონ-ბურგონის გენეტიკის კვლევისა და ოჯახებისა
და პროფესიონალების მხარდაჭერის ასოციაცია
(ARGAD - Association de Recherche en Génétique et d'Accompagnement des familles et professionnels de Dijon-Bourgogne)
თარგმნა: ჟანა ჩოხელი (Translation: Zhana Chokheli)
რედაქტორი: თამარ მახათაძე
სარედაქციო მიმართულება: სელინ კოლომბიერ-მაფრი

პირველი ფრანგული გამოცემა 2024 ივნისში
ორიგინალი ტექსტი: © სონია გორგერი, 2024
ორიგინალი გამოცემა: © Fondation Ipsen, 2024

1949 წლის 16 ივლისის კანონი No49-956 ახალგაზრდებისთვის
პუბლიკაციების შესახებ, შესწორებული 2011 წლის 17 მაისის 2011-525 აქტით.

PePub Conversion: www.flexedo.com

არ იყიდება - უფასო წიგნი

ბუხართან წახემსების დროს, ბებია მგელი თავის მგლის ლეკვებს უყვება ისტორიას, ვულფის, უცნაური პატარა მგლის შესახებ, რომელსაც უჭირდა ლაპარაკი და ზოგიერთი საკითხის გაგება.

პატარა მგელი, რომელსაც პირთან გულის ფორმის, ბროწეულისფერი ლაქა ჰქონდა...

“ბავშვები ცხოვრების განმავლობაში ბევრ გამოწვევას აწყდებიან. დაავადებაზე საუბარი რთულია. ეს წიგნები ხსნის, რომ თითოეული ბავშვი ძლიერია და მათი სული ნებისმიერ დაავადებაზე მძლავრია.”

– ჯეიმს ა. ლევინი
მედიცინის დოქტორი, პროფესორი, იფსენის ფონდის პრეზიდენტი
www.fondation-ipsen.org

FONDATION IPSEN
BookLab

წიგნი №10.4

გამოხატეთ
თქვენი აზრი!

ISBN:
978-2-38427-354-6 (POD)
978-2-38427-355-3 (ელ. წიგნი)

არ იყიდება - უფასო წიგნი